№ 92
სამშაბათი, 4 მაისი, 1899 წ.

1877—1899

# ივერია

ტფილისი

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

№ 92
სამშაბათი, 4 მაისი, 1899 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარია

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ამ ნომერში ოცი გვერდია.

გაზეთი „ივერია“ პირველ მაისიდგან წლის დამლევამდე ღირება 7 მან. 25 კაპ.

**თავადი კონსტანტინე დავითის ძე და თავ. ივანე და გრიგოლ ნიჟარაძენი** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ სამშაბათს, 4 მაისს, მეორმოცე დღეს გარდაცვალებისას გენერალ-მაიორის თავად

**სიმონ დავითის ძის ნიჟარაძისას**

გარდახდილი იქმნება წირვა და პანაშვიდი სოფ. მაღლაკს მაცხოვრის ეკკლესიაში, დილის 10 საათზედ. (1—1)

## სახალხო სეირნობა

### საქველმოქმედო ბაზრითურთ.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების სასარგებლოდ“.

დანიშნულია მაისის 16 და 17-ს კვირას და ორშაბათს, მუშტაიდში.

**ტფილისის სათავად აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის** მმართველობა ამითი აცხადებს, რომ სხვა-და-სხვათა მამულების საჯაროდ გაყიდვის შესახებ განცხადებებში, რომელიც დაბეჭდილი იყო ამა წლის „ივერიის“ მე-90, 91 და 92 №№-ში, შეპარულა შეცდომა, სახელდობრ: გამოცხადებულია რა მაჭავარიანის რომანოზ დავითის ძის სოფლის მამული, არ არის მოხსენებული „შემოსატანი გარდასახადი 1365 მან. 20 კაპ., განაწილებული სამ ნახევარ წლად“. (3—6.—1)

**სარევიზიო კომისია ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობისა** მოიწვევს წევრთ ამა ამხანაგობისას საგანგებო კრებაზედ, 9 მაისს, 1899 წელსა, სოფელ კუხს, ამხანაგობის სამმართველოში, განსახილველად და დასამტკიცებლად ამხანაგობის 1898 წ. წლიურის ანგარიშისა და სხვა საგნებისა, რომლების განხილვაც ჩვეულებრივმა კრებამ, შემდგარმა 21 აპრილს, ვერ მოასწრო, კრების თავმჯდომარის წყალობით. (5—6.—1)

**გურიის სავაჭრო-სამრეწველო ამხანაგობამ**

**„შუამავალმა“**

მოაწყო ს. დვაბზუში აბრეშუმის სახვევ-საქსოვი ქარხანა, სადაც მუშაობა დაიწყება პირველ მაისიდგან. ვისაც ჰსურს შემოსვლა მოსწავლედ, უნდა გამოგზავნონ თხოვნა ოზურგეთში, ამხანაგობის კანტორაში, 15 მაისამდის. უპირატესობა წევრებს მიეცემა.

(3—6.—3) მმართველი ს. ჭეიშვილი

**„შუამავალი“**

ამხანაგობის მაღაზია გადავიდა უკვე თამამშევის ქარვასლაში, პუშკინის სკვერის წინ. (3—6.—1)

**პირველი კერძო სამკურნალო**

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ე. მ. ჩიქოვანი**. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

**ი. თ. პროტასევიჩი**—12—1 საათ. ყურის, ყელის, ცხვირის და გულის ავადმყოფ.

**ა. ზ. კარაპეტიანცი**. 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო**. 1¼—2¼ ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

**ვ. მ. მახვილაძე**.—5—6 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

**ა. ნ. შპაკოვსკი**—6—7 საათ. ნერვების (ელექტროტერაპია), ვენერიული და კანის სნეულებ.

**ბ. ა. ნავასარდიანი** 6½—7 საათ.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.**

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана*.

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. (—1—წ.)

**ექიმი**

**კ. ი. გძელიშვილი**

მიიღებს

ყელისა, ცხვირისა და ყურით

ავადმყოფებს.

დილ. 9—11 ს., საღამოზე 5—7 ს.

მიხეილის ქუჩა, ნემეცების ეკკლესიის პირდაპირ. Михайловская, противъ кирки. (100—31—35)

## ახალი ამბავი

*** მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესმა საქართველოს ექსარხოსმა ფლაბიანემ ხონის დედათა სასწავლებლის სასარგებლოთ შესწირა 50 მ.

*** კვირას, ორ მაისს, ანჩხატის ტაძარში მწირველი ბძანდებოდა ყოვლად-სამღვდელო ეპისკოპოსი გორისა ლეონიდი. წირვაზედ მლოცველი ხალხი ბევრი დაესწრო. სასიამოვნოდ გალობდა ბ-ნ ნიკოლოოზ ბერიშვილის ლოტბარობით ქართველთა მგალობელთა გუნდი, რომელშიაც მონაწილეობას იღებდნენ ქალები. დიდი მადლობის ღირსია ბ-ნი ბერიშვილი, რომ ასე მალე ქალებსაც-კი შეასწავლა მღვდელ-მთავრული წირვის გალობა. წირვაზედ ყოვლად-სამღვდელო ლეონიდმა წარმოსთქვა გრძნობიერი სიტყვა „მენელსაცხებელ დედათა“ შესახებ, რომელმაც ბევრს დედებს მოჰგვარა თვალებზედ ცრემლი. რაც ყოვლად-სამღვდელო ლეონიდმა დაიწყო ანჩხატის ტაძარში წირვა, ხალხიც დიდ ძალი ესწრება. ხალხს იზიდავს როგორათაც ღმობიერი გრძნობით სავსე ქადაგება ყოვლად-სამღვდელოსი, აგრეთვე მშვენიერი გალობა ქართველთა გუნდისა.

*** გუშინ-წინ, 2 მაისს, ტფილისის ვაჟთა 1 გიმნაზიის ეზოში მოხ-[…]

## ფელეტონი

### ბებია ხვარამზე

(მოთხრობა)

(შემდეგი *)

III

ბინდობის ხანს ნადიამბეგარის ლამპარით გაჩაღებულს და ფანჯრებზედ ფარდებ-ჩამოშვებულს ოთახში შევიდნენ აბრია არაბეხდაშვილი, იმისი ცოლი მართა და ქალი ხვარამზე, რომელთა შესვლისათანავე მშვიდობიანის სახე-კილოთი წარმოსთქვა ნადიამბეგარმა:

— თქვენ, ცოლ-ქმარნო, ცოტა ხანს კარში მიბძანდით და მოიცადეთ, ჯერ თქვენ ქალს უნდა გამოვკითხო გიგიას ამბავი უთქვენოდ.

აბრია და მისი ცოლი კარში გავიდნენ და ნადიამბეგარმა ალერსიანის ხმით უთხრა რაღაც გამოურკვეველის მიმით ტირიფივით ათრთოლებულს და იასავით მორცხვად თავჩახრილს ხვარამზეს:

— აქმო, ქალაია, ნუ გცხვენიან, აი ამ ტახტზედ ჩამობძანდი, რამე უნდა გკითხო შენი ძმა გიგიას შესახებ.

არჩვეულებრივად მობუზული ხვარამზე ადგილიდამ ფეხს არ იძრავდა და რაღაც სირცხვილის ოფლში იწურებოდა.

— მოდი, ქალო, მოდი, რა გაშინებს, ადამიანის მჭამელი ველური ხომ არა ვარ, ქრისტიანი კაცი ვარ, შენი ძმა გიგიას შესახებ უნდა გამოგკითხო რამე,—ტკბილად გაუმეორა ნადიამბეგარმა, კაბის სახელოზედ ოდნავ ხელი წაავლო და მიჰყვა ხვარამზეც გაუბედავად, უხერხულად ჩამოჯდა ტახტზე ძალზე გულ-აფანცქალებული და უფრო მეტად ჩაღუნა მოწითალო თავზე მოსახვევიანი, გაიამზევარდებული თავ-პირი, რომელზედაც მორცხვობის ხვითქი გადასდიოდა, როგორც მაისის ვარდს მზის სხივებით აბჭყვრიალებული დილის ხამი, და ამასთანავე აჩქარებული სულთქმა, გულის ცემა და სისხლის ძოძოაობა აზვირთებულ ზღვასავით უღელვებდა ბროლ-მარმარილოს მსგავსად გამოქანდაკებულს მკერდს.

ამ გულ-დამთბელ სურათის მაყურებელი მათი ბრწყინვალება ნადიამბეგარი ტანისამოსიანად გიჟდებოდა ალგზნებულ ვნებათა ღელვით, მუნიახივით იჩმუხნებოდა მოუსვენრად და ყელში მობჯენილი კოცნის ძლიერი სურვილ-წყურვილი და რაღაც სულ-წასულობა არჩობდა, მაგრამ ამასაც ჰგრძნობდა: აჩქარება საქმეს წაამიხდენსო, და ამიტომაც ჯერ შორიდამ უვლიდა სიფრთხილით მიუვალს ციხეს, რადგანაც გამოცდილებითაც კარგად იცოდა და ისეც ხშირად გაეგონა: ერთი ქალის გულის დამონავება ყარსის ციხის აღებაზედაც ძნელიაო.

— ხვარამზე, აბა მითხარ, ქალო, გიგია მართლა შენი ალალი ძმაა?—ალერსიანად ჰკითხა ნადიამბეგარმა.

— დიახ,—მორცხვობის გაუბედაობით უპასუხა თავ-ჩაღუნულმა ხვარამზემ.

— კეთილი და კარგი ლხინი. ეხლა ეს მითხარ: ლოლო პეტრუზოვმა მართლა თავის ძალით დაკოიფა თქვენი ვენახი და ამისთვის მოკლა გიგიამ?

— დიახ.

— ძალიან გიყვარს, ქალაიავ, შენი ძმა გიგია?

— დიახ.

— კარგი და პატიოსანი. ეხლა ეს მიბძანე: ცოლ-შვილი ჰყავს გიგიას?

— დიახ.

— რამთენი შვილი ჰყავს?

— ოთხი.

— მოზრდილები ჰყავნან თუ პატარები?

— პატარები.

— მართლა სხვა ძმა აღარა გყავს, ქალო, და მთელი თქვენი ოჯახი და შენი მოხუც დედ-მამის შენახვა-დამარხვაც მარტო გიგიას გამრჯელს მარჯვენაზე ეკიდა?

— დიახ.

— შენი ძმა გიგია რომ ციმბირში გაგზავნონ, ან ჩამოარჩონ, რა გეშველებათ მაშინ?

— დავიღუპებით,—ათრთოლებულის ხმა ტუჩებით წარმოსთქვა ხვარამზემ, უცბად გული ამოუჯდა, სლუკ-სლუკი მოაყოლა გულ-აქვითინებულმა და თქრიალით გადმოედინა ალმასის წინწკლებივით ბჭყვრიალა ცრემლები შავი-ბრიალა თვალებიდამ.

— ნუ სტირი, ქალაია, ნუ სტირი, ღმერთი მოწყალეა, მე ისე მოვახერხებ, რომ გიგია არც ჩამოახრჩონ და არც ციმბირში გაგზავნონ. ყოჩაღ, ქალო, ყოჩაღ, ბარაქალა! ეხლა-კი აშკარად გეტყობა, რომ შენი ძმა გიგია შენს თავსაც გირჩევნია—არა, ქალო?

— დიახ,—მოკრთალებით უპასუხა ნადიამბეგარის ტკბილის ნუგეშით დამშვიდებულმა და სახე-გამოდარებულმა ხვარამზემ.

— მაშ-თუ მაგრეა და გიგია შენს თავზედაც მეტად გიყვარს და გებრალება, რას მისცემდი, ქალამზე, იმ კაცს, ვინც გიგიას სიკვდილიდამ და ციმბირიდამ დაიხსნიდა?

ეხლა-კი თითქოს მიხვდა ხვარამზე ნადიამბეგარის ეშმაკობასა და პასუხი ვეღარ მისცა.

— ჰა, ქალამზე, შენ გეკითხები, მითხარი შენი სირინოზის ხმით: რას მისცემდი შენი ძმის გამომხსნელს?

— რა ვიცი... მე რამაქ... რას მივცემდი,—დაბნეულად წარმოსთქვა ნადიამბეგარის გამეორებულის კითხვით ძალ-დატანებულმა ხვარამზემ, რომელიც ისევ თავ-ჩაღუნული იჯდა და ეხლა უფრო მეტად იბუზებოდა შიშისა და მორცხვობისაგან.

— „მე რა მაქვ, რას მივცემდი“, ხა, ხა, ხა!... გულიანად გადიხარხარა ნადიამბეგარმა და ალერსიან ხმა-ღიმილით დაუწყო: რას მიბრძანებ, ქალაიავ, რას! მარტო შენ შეგიძლიან, ჩემო კარგო, შენი ძმის გამოხსნა; და აი ყური დამიგდე, გეტყვი კიდეც როგორ და რა გზით შეგიძლიან: მე, ჩემო მშვენიერო, ცოლ-მკვდარი კაცი ვარ, კხეინა აღარა მყავს, კარზე ბედი მოგდგომია და შენ თითონ გახდი ჩემი ხასაკნეინა. ეს კარგად იცოდე: ხელმწიფის ცოლივით შეგინახავ, გაგანე-[…]

*) იხ. „ივერია“ № 89.

და ამ სასწავლებლის მოწაფეთა საჯარო გამოცდა გიმნასტიკაში. მოწაფეებმა სავსებით აღასრულეს პროგრამმა, გარდა „ფერხულისა", რომელიც წვიმის გამო ველარ აღასრულეს. გამოცდას ათასამდის მოწვეული კაცი დაესწრო. აქვე იყვნენ მშობლები მოწაფეთა და ზოგიერთა სასწავლებლების უფროსები.

⁂ ქ. ტფილისის მეოთხე განყოფილების მომრიგებელ მოსამართლეს ნ. დ. ზუბალაშვილს სამსახურიდგან გადადგომა უთხოვნია. მისს მოადგილეებათ ასახელებენ ხალქალაქის მომრიგებელ მოსამართლეს ბალა-კირშჩიკოვს და სამოსამართლო პალატის მდივანს ბ-ნ მიტკევიჩს.

⁂ სამიწად-მოქმედო და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს განუზრახავს 30 ათასი მანეთი გადასდოს კავკასიის ზოგიერთა მდინარის კალაპოტის შესაცვლელად და საზოგადოდ იმ მდინარეთა ნაპირების გასამაგრებლათ, რომლებიც წყალდიდობის დროს მცხოვრებლებს აზარალებენ.

⁂ 2 მაისს მოხდა წლიური კრება უძრავ ქონებათა ცეცხლისაგან დამზღვევ საურთიერთო საზოგადოების წევრთა. კრებამ დაადგინა დაუკლოს დასაზღვევი გარდასახადი 25%-ით იმათ, რომელთაც თავიანთი ქონებანი საზოგადოების დაარსებიდგან აქვთ დაზღვეული. ამავე კრებაზედ მოხდა არჩევანები თანამდებობის კაცთა.

⁂ 1 მაისს ტფილისის ქალაქის გამგეობამ გადასცა ქალაქის სამხედრო ბეგრის საკრებულოს სია იმ ყმაწვილ კაცთა, არა კეთილ-შობილ წოდებისა, რომელნიც დაბადებულნი არიან 1877 წლის 1 ოქტომბრიდგან 1878 წლ. 1 ოქტომბრამდე, და რომელნიც წელს კენჭის ამოსაღებად არიან გაწვეულნი. დღეიდგან ყოველგვარი განცხადება ამ სიებში შეპარულ შეცდომების შესახებ უნდა წარედგინოს სამხედრო საკრებულოს.

⁂ ამას წინად ფოთის ქალაქის თვით-მმართველობა შუამდგომლობდა მთავრობის წინაშე, რომ ნება მისცემოდა ქალაქის სასარგებლოდ ძაღლის პატრონებისათვის გარდასახადი გამოერთმიათ. ახლა, როგორც გაზ. „ახ. მიმოხ." იუწყება, სათანადო სამინისტროს ნება მიუცია ამ გვარის გარდასახადის შემოღებისა მხოლოდ იმ პირობით-კი, რომ თითოეულ ძაღლზედ ათ შაურზედ მეტი არ იყოს გაწერილიო.

⁂ სანიტარო-სამკურნალო ინსპექტორი სთხოვს ქალაქის გამგეობას, რაც შეიძლება მალე დანიშნეთ ექიმები კუკიის სავაადმყოფოსა და ქალაქის, გადამდებ სენით შეპყრობილთა, ფარდულებშიო.

⁂ ქუთაისის საგუბერნიო მთავრობამ ხელმეორედ განიხილა საქმე ოზურგეთში ვაჟთა გიმნაზიის დაარსების შესახებ და კავკასიის უმაღლესს მთავრობას წარუდგინა. („ახ. მ.მ.").

⁂ გაზეთ „ტფილ. ფურცელს" ატყობინებენ პეტერბურგიდგან, რომ ზაფხულში საერო განათლების მინისტრი ბ-ნი ბოგოლეპოვი ტფილისს ეწვევაო.

⁂ კავკასიის გუბერნიების მთავრობანი ამ ჟამად სიას ადგენენ იმ სოფლის საზოგადოებათა და კერძო კაცებისას, რომელთაც თოფები უნდა დაურიგდეთ ყაჩაღებთან საბრძოლველათა. („ახ. მიმ.")

⁂ სიღნაღიდგან ატყობინებენ გაზეთ „ახალ მიმოხილვას", რომ სიღნაღის მაზრაში კალია გაჩენილა.

⁂ ქ. ბათუმი. კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის წინაშე წარსდგა ქალაქის დეპუტაცია და სთხოვა გვიშუამდგომლეთ მთავრობის წინაშე, რომ ბათუმში დედათა გიმნაზიის დაარსების ნება მოგვცენო. ბატონმა მზრუნველმა სიამოვნებით აღუთქვა თვისი დახმარება.

⁂ როგორც „Чер. Вѣст." იუწყება, თავისისავე თხოვნით თანამდებობიდგან დათხოვნილ იქმნენ მომრიგებელი მოსამართლენი: ზუგდიდის მაზრის პირველ განყოფილებისა — ბ-ნი მაჭავარიანი და შორაპნის მე 3 განყოფილებისა — თავ. კ. ერისთავი.

⁂ როგორც გაზეთები იუწყებიან, აზრადა აქვთ თურმე სამაზრო საპოლიციო სამმართველოებში საქმის წარმოების წეს-რიგი შესცვალონ.

⁂ როგორც გაზ. „ახ. მიმოხ."-ა იუწყება, ტფილისის იუნკერთა სასწავლებლის უფროსი პოლკოვნიკი ა. მ. კოლიუბაკინი ტაშკენტის კადეტთა კორპუსის დირექტორად გადაჰყავთო.

⁂ შორაპნის მაზრის სოფელ ხრეითში დაუჭერიათ ციმბირიდგან გამოქცეული ქრისტესია სამაკაშვილი. სამაკაშვილი პირველად ქურდობისათვის გადაუსახლებიათ.

⁂ მოსკოვის ბალკაში უეცრად გარდაიცვალა ლისნევის მდგმური მოხელე მიხეილ ვასილიევი, 40 წლისა. გვამი მიხეილის საავადმყოფოს საანატომიო განყოფილებაში წაიღეს.

## წერილი ფოთიდგან.

30 აპრილს, დილის 8 საათზედ, სახალხო მატარებლით მობრძანდა აქ მისი მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობა საქართველოს ექსარხოსი ფლაბიანე. სადგურზედ საზოგადოება ბლომად დაუხვდა. პირველად გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ალექსანდრე მიეგება. შემდეგ ქალაქის მოურავმა ბ-ნ ნ. ნიკოლაძემ პურმარილი მიართვა და იქვე დამსწრე საზოგადოებამ ექსარხოსისაგან შენდობა მიიღო. ამის შემდეგ საპატიო სტუმარი ფოთის საკრებულო და საკათედრო ტაძარში მიაცილეს. აქ მის ყოვლად-უსამღვდელოესობას მრავალი ქალი და კაცი დაუხვდა; აქვე ეზოს ჭიშკრიდან დაწყებული თვით საყდრის შესავლამდის ორ რიგად დარაზმულნი იდგნენ სამრევლო სკოლის მოსწავლეები. შუაზედ, სადაც ექსარხოსს უნდა გაევლო, გზა მოფენილი იყო ხალიჩებითა და სხვა-და-სხვა გვარ სურნელოვან ყვავილებით. ტაძარში შესვლის დროს ეპისკოპოსმა ალექსანდრემ მოკლე, მაგრამ მეტად გრძნობიერის სიტყვებით მიმართა ექსარხოსს. ეკკლესიიდგან, პარაკლისის გარდახდის შემდეგ, ექსარხოსი ჩაიზედ ეპისკოპოსთან წაბრძანდა, შემდეგ ადგილობრივ სკოლების დათვალიერებას შეუდგა; სკოლების შემდეგ დაათვალიერა ქალაქის სამკურნალო, ქალაქის ბაღთან მაღალ-ყოვლად სამღვდელომ დაათვალიერა ის ადგილი, სადაც ახალი საკათედრო ტაძარი უნდა აშენდეს. 12 საათზედ ნავით სადგურისაკენ გაემართა მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა, სადაც მან მთელს ერთ საათს დაჰყო. საათის პირველზედ ექსარხოსი ეპისკოპოსის სახლში დაბრუნდა; სადილობამდის მის მეუფებასთან გამოცხადდნენ გურია-სამეგრელოს საეპარქიო სამასწავლებლო საბჭოს წევრნი, რომელთაც ექსარხოსმა გამოჰკითხა, თუ რა მდგომარეობაშია სწავლა-განათლების საქმე გურია-სამეგრელოშიო. სადილად ექსარხოსი ეპისკოპოსთან იყო მიწვეული; მიპატიჟებული ჰყავდა ეპისკოპოზს აგრეთვე ქალაქის მოურავი და სხვანი, უმეტესად კი სასულიერო წოდების კაცნი. სადილ-მოხედ-კი მისი ყოვლად უსამღვდელოესობა, ეპისკოპოსი, ქალაქის მოურავი და სხვანი ექიმ კ. მიქაბერიძისას იყვნენ მიწვეულნი ჩაიზედ. 30 ღამე გაითია ექსარხოსმა ეპისკოპოსის სახლში, საიდანაც მისი მეუფება 1 მაისს დილის 6½ საათ. მატარებლით გაემართა ახალ-სენაკს.

ი. იანეთელი

## წერილი ბათუმიდგან

კვირაცხოვლობას ჩვეულებრივი ბურთაობა გამართეს გურულებმა და მეგრელებმა კახაბერში, სადაც დიდძალი საზოგადოება შეიკრიბა, ზოგნი მოთამაშენი და ზოგნი კიდევ მაყურებლნი. დიდ უზარმაზარ ბურთს დაატარებდნენ სამი საათიდგან ხუთის ნახევრამდე და მაშინ გადასცეს ერთ კაცს, რომელმაც ეს ბურთი წაიღო და გადაგორა დანიშნულ ღელის შუაგულზედ და თან დაიძახა: „არიქა, ყმაწვილებო, კაშა, კაშაო, ღელეს დასავლეთით მეგრელებისა და ხონელებისაო და აღმოსავლეთით გურულებისა, თათრებისა და სომხებისაო"! შეიქნა ყიჟინა, კაშას ძახილი და ბურთი გააქანეს პირველად მეგრელებმა, და ის იყო ღელესთან უნდა მიეტანათ, — ამ დროს გურულებმა იბრუნეს ბურთი თავიანთ ღელისკენ, მაგრამ ბურთი ისევ მეგრელებმა და ხონელებმა გაგაიტაცეს. ამ დროს ბურთი გადავარდა პატარა მდინარეში. სადაც არშინის სიმაღლეზედ წყალი იდგა. თქვენც არ მომიკვდეთ, წყალმა არც ერთი მხარე არ შეაშინა. ჩაცვივდნენ შიგ; მთელი ერთი საათი ბურთი წყალში იყო; ბოლოს ისევ მეგრელებმა და ხონელებმა იგდეს ხელთ, გააქანეს თავიანთ ღელისკენ და მერე ზღვაში ჩააგდეს. თამაშმა მთელ სამს საათს გასტანა.

მოთამაშენი სიმღერით, ცეკვითა და დამბაჩების სროლით დაბრუნდნენ სახლში.

ყარამან ნარაკიძე

# რუსეთი

— საერო განათლების სამინისტროსთან შემდგარმა განსაკუთრებულმა კომისიამ უკვე შეიმუშავა ის ახალი წეს-რიგი, რა წეს-რიგითაც ამიერიდგან ნება-რთვა უნდა აიღონ იმათ, ვისაც სურს სოფლებსა და დაბებში სახალხო კითხვების გამართვა. დღემდის ამ ნება-რთვას საერო განათლების და შინაგან საქმეთა მინისტრებისა და უწმ. სინოდის ობერ-პროკურორისაგან იღებდნენ, დღეიდგან-კი ადგილობრივ არქიელისა, გუბერნატორისა და სამოსწავლო ოლქის მზრუნველისაგან უნდა აიღონ. ზოგიერთ შემთხვევაში, მაგალითად, თუ საქმე საჩქაროა, ნებართვის აღება სახალხო კითხვების

---

ბივრებ, შენ უნებურს ცივს ნიავსაც არსაიდამ მოგადებ, ისეთი ძლიერი, ენით-გამოუთქმელის სიყვარულით მეყვარები, რომ მთხოვო: შენი გული გამოიჭერ და მწვადად შემიწვიო — ამასაც აგისრულებ. და ბოლოს, როდესაც კი მოიწადინებ, მევე გაგათხოვებ ჩემის ფულ-მზითევით, შენს ქორწილში ცხრილით ღვინონოსაც დავლევ და ვიმღერებ და ვითამაშებ კიდეც. ხომ ყურს მიგდებ, ქალთამზე, რასაც გეუბნები? დიახ, თუ შენ ასე გონივრულად მოიქცევი, ჭკვას არ დაჰხაყავ, ეშმაკის ცხენზე არ შეჯდები და ჩემს პატიოსანს სიტყვას დაუჯერებ, მაშინ შენც დიდი ბედნიერი ქალი იქნები ყველაფრით, შენს ძმა-გიჟიასაც რამდენიმე თვის განმავლობაში გამოვიხსნი და შენს ღარიბს დედ-მამასაც ბევრნაირად შევეწევი, და აბა სხვა ამაზედ მეტი რაღა გინდა, ჩემო მშვენიერო?

ამ მოულოდნელის ამბით ელდანაცემს ხვარამზეს წნორის ფურცელივით ცახცახი დააწყებინა, ადგომა და გაქცევა უნდოდა, მაგრამ მეტისმეტი გულის-მღელვარება-შიშით მოღლვებული ფეხსა და ენას ველარ სძრავდა.

— კარგი, ქალო, პასუხი მომეცი, მითხარ რამე, რა გაკანკალებს შეციებულ ციცუნიასავით, — ღიმილით უთხრა ნადიამბეგარმა, ველარ შეიმაგრა თავი, სალტასავით შემოჰხვია ხელები ხვარამზეს და გადუკოცნა შავი ჟუჟუნა თვალები.

— ვაიიი!.. მიშველეთ! — ძალზე დაიწივლა თოფის წამალივით გულ-აფეთქებულმა და უცბად ძალ-ღონე მოკრებილმა ხვარამზემ და, ნადიამბეგარის ღონიერ მკლავებს რომ ველარ გამოუსხლტა, გულ-გაფთრებულ ფოცხვერივით აძგერა ხელები სახეში და თავ-პირი ჩამოაკაწრა.

— ქალო, ქალო, ქალაიავ, სულიკოჯან, გვრიტიკოჯან! რას ჩადი ხარ, კატა ხომ არა ხარ, რომ სახეს მაკაწრი? — ალერსიანის ღიმილით უთხრა დახელოვნებულმა დონჟუანმა და თავის მკლავებიდამ გაანთავისუფლა. ხვარამზე მაშინათვე წამოხტა და კარებს ეცა, მაგრამ დაკეტილი კარები ვერ გააღო, თუმცა ბევრი ეჯაჯგურა.

— რა სულელი რამა ჰყოფილხარ, ქალო, არა რას ჰქინიანობ და ჰფხუკიანობ გიჟ-მოხვეულივით ერთი მითხარ, ჩემო კარგო, ჩემო მშვენიერო! მოდი, ქალაია, მოდი, ჩემთან დაჯექ და კნეინა გახდი. ჭკვაზე მოდი, მე სულელო: ათასის ბრძანებელი ქალბატონი იქნები და თვით ჩემის გულის მეფა-ხელმწიფაც და სხვა რა გინდა, ერთი მითხარ, ხვარამზე, იამზე, ქალამზე, დილიმზე, ჩემო მზე! — ასე უალერსებდა ნადიამბეგარი, მაგრამ კარებზე მიყრდნობილი ხვარამზე მწარედ ქვითინებდა და როდესაც ნადიამბეგარმა უამბო: შენმა დედ-მამამ იმისათვის მოგიყვანეს, რომ ჩემთან უნდა იყო ხასათო და უთხრა ესაც: შენი მშობლები ეხლა შინ იქნებიანო, მაშინ უფრო მაღალის ხმით ატირდა და აქვითინდა თავზარ-დაცემული ხვარამზე.

— ეჰ, მე ჭკვიანი მეგონე და უჭკუო ბალღი ყოფილხარ, ხვარამზე, ბალღი, მამა არ წამიწყდება და შენც ნუ მომიკვდები. ჰიტააა! ალუუუ! ნეკზე არ მიკბინო, ქალო ძუძუთაერთიციცქნავ! აბა, გულს რაზედ იწყვეტავ ტირილით, თუ მართლა ბალღი არა ხარ? შენ რომ ჭკვა გქონდეს ცოტაოდენი მაინც, ღმერთს უნდა ჰმადლობდე, რადგანაც ამისთანა დიდს ბედ-იღბალში გაგდებს. გამიგონე ხვარამზე: მაშ თუ არც ასეთი ბედ-იღბალი გინდა და არც ძმის სიკვდილიდამ გამოხსნა, საითაც გნებავს, იქით მიბძანდი, თუ ძალიანაც არ შემეხვეწები, საჭირო არა ხარ, ათასი თავად-აზნაურის ლამაზი ქალები მეხვეწებიან: ხასად დაგიჯდებითო: გინდა ქალო, გინდა, რომ შენი ძმა გიგია ჩამოახრჩონ? მაშ თუ გინდა და მეხს გაქვავებულს გულში არც ძმის სიყვარულია, არც იმის პატარა ბალღების სიბრალულია და არც მოხუცი დედმამისა — მითხარ, და აი ეხლავ დიდის სიამოვნებით დავუძახებ ჩემს ბიჭებს და გაგისტუმრებ ამ ბნელა კუკუმეთს ღამეში, მაგრამ ესაც იცოდე: ისეთი ოხერი, სალახანა ბიჭები მყავნან, რომ გზაში გაგაუპატიურებენ და მე ველარას გიშველი.

გულ-აქვითინებული ხვარამზე ცალის ყურით ნადიამბეგარის სიტყვებს ჰკრეფავდა თითო-თითოდ, ხან არ ილებდა და იმ სახლიდამ გაქცევაზე ფიქრობდა, მაგრამ კარები დაკეტილი იყო და თანაც ეშინოდა ღამე უპატრონოდ როგორ წასულიყო მეორე სოფელში, ორი-სამის ვერსის მანძილზე.

— აქ წამო, ჩემო მშვენიერო, რახა არ იშლი — აი იმ კუთხეში ისლუკსლუკე ბალღივით, თორემ სირცხვილია ჩემი პოვარი რომ გნახავს ახლოდამ ვეება ქალს ემაგრე ნამტირალს.

გულ-ამომჯდარი ხვარამზე ოთახის უკანა კუთხეს აეტუზა გამწყრალ-ბალღივით, ნადიამბეგარმა კარები გახსნა და რიხიანად დაიძახა.

— ბიჭო! ბართლომე! ე, ვირის თაო, არ გესმის: სუფრა გაშალე, ნუ, ჟივო! ჩქარა!

ბართლომე მზარეულმა სასადილო მაგიდაზედ ხელად ვახშამი გააჩაღა, ზედ ორი ანთებული ვერცხლის შანდლიანი სანთელი დადგა, მაგიდას აქათ-იქიდამ ორი სკამიც მიუდგა და გავიდა ოთახიდამ.

ნადიამბეგარი მიუჯდა სუფრას და დაუწყო ალერსიანი ძახილი ხვარამზეს აოშიყობაში გამოქბილის ენით:

— ქალაია ბადანა, მთის ვარდი ხარ ღადანა! აბა, მობძანდი, ქალო, ვივახ მმოთ. მობძანდი, ხვარამზე, ქალთამზე, მობძანდი, კხეიხა, კხიახს ახარი დამიმშვეე! იჲ, იჲ, იჲ, ლახათ! შეხი გულისა, შენი, ერთი აქ უყურე, ჩემო ხვარამზე, ერთი აქ უყურე: რა შავი ღვინოა, რა თეთრი მოთებია, რა ერბოსავით ყველია, რა მწვანილია, რა კარაქია, რა ზურგიელია, რა თართია, რა ხიზილალაა, რა ერბო კვერცხია, რა ჭწვადებია! უჰ! უჰ! უჰ! შენი სულისა, შენი, რა გემრიელი და მცვრიანი მწვადია-და! მწვადი მცვრიახიო, ქალი თმიანიო, მაგრამ შენი გულისა ჩემო ხვარამზე, მაგ შენს ჯამბა-

გასამართავად საერო სკოლების დირექტორისაგანაც-კი შეიძლება.

— საუფლისწულო უწყებამ გარდასწყვიტა დააარსოს მუზეი, სადაც შეკრებილი იქმნება სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოებთა ნაშთები.

— როგორც „Рус. Вѣд.“-ი იუწყება, უწმ. სინოდის განკარგულებით სასულიერო სემინარიების ინსპექტორებად და სასულიერო სასწავლებლების ზედამხედველებად უეჭველად ბერები ან მღვდლები უნდა იქმნან ხოლმე დანიშნული.

— „Рус. Вѣд.“-ის სიტყვით, ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ პეტერბურგში საფარმაცევტო ინსტიტუტი იქმნას დაარსებული.

— იმ კომისიამ, რომელსაც მინდობილი ჰქონდა იმის გამოკვლევა, თუ რა წესით უნდა ხდებოდეს ოფიცერთა შორის დუელი, უკვე შეიმუშავა 35 მუხლი წესდებისა, რომელშიაც დაწვრილებით აღნუსხულია ყველა შემთხვევა და მიზეზი დუელისათვის. ეს წესდება სამხედრო-სამოსამართლო მმართველობას გარდაეცა განსახილველად.

## უცხოეთი

—

**საფრანგეთი.** დეპუტატთა პალატის მიერ არჩეულია კომისია, რომელმაც უნდა განიხილოს საფრანგეთისა და ინგლისის ხელშეკრულობა აფრიკის შესახებ. ეს კომისია შეიკრიბა პირველად 22 აპრილს და თავისს თავმჯდომარედ აირჩია ეტიენი. გარეშე საქმეთა მინისტრმა დელკასემ აუწყა კომისიას, რომ ინგლისთან მოლაპარაკების დროს სამი საგანი ჩვენს სასარგებლოდ გადაწყდა, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვს საფრანგეთისათვისო: 1) ეგვიპტის შესახებ საფრანგეთი არაფითარის პირობით არ არის შეზღუდული; სრულიად თავისუფლად შეუძლიან იმოქმედოს ამ ქვეყნის შესახებ, რადგან ინგლისი მოქმედებდა იქ მის დაუკითხავად და ამიტომ ეს მოქმედება კანონიერად არ არის მიჩნეულიო. 2) ძლიერ საჭირო იყო გაერთიანებინა საფრანგეთს ყველა ადგილები აფრიკაში, რომლებიც მის სამფლობელოს შეადგენდაო; არა თუ მარტო ეს მოახერხა საფრანგეთმა, არამედ კიდევ მიუმატა თავისს სამფლობელოს კამენი, ბაგირმი და ვადაიო. 3) მშვიდობიანობის დასაცველად საჭირო იყო თავიდგან აგვეშორებინა ყველა ის მიზეზები, რომელნიც საფრანგეთსა და ინგლისს შორის უსიამოვნებას ჩამოაგდებდაო, მაგრამ ისე, რომ საფრანგეთის დიდება და სახელი ამით არ დამცირებულიყოო; დელკასეს სიტყვით, საფრანგეთმა ეს ძნელი საქმეც მოახერხა.—კომისია სრულიად დაკმაყოფილებულა დელკასეს სიტყვებით და გარდაუწყვეტია შეადგინოს მოხსენება კონვენციის დამტკიცების სასარგებლოდ.

— გაზეთებს ჯერ კიდევ არ დაუსრულებიათ მითქმა-მოთქმა ფრეისინეს გადადგომის შესახებ სამსახურიდგან. როგორც იუწყებიან, დეპუტატთა პალატაშივე უთქვამს მას დიუპუისათვის, რომ იძულებული ვარ მინისტრობას თავი დავანებოო, რადგან პალატა, როგორც დამტკიცდა, წინანდებურად აღარ მენდობა, რასაც არ მოველოდიო. დიუპუის ურჩევია მისთვის, რომ ნუ გახვალ სამინისტროდგანო; ასეთივე რჩევა მიუცია პრეზიდენტს ლუბესაც, მაგრამ ფრეისინეს მაინც დაუჟინია, რომ უთუოდ უნდა გავიდეო. შუაღამისას დიუპუის წერილი გაუგზავნია ფრეისინესათვის და კიდევ უთხოვნია, თავი დაანებე შენს გარდაწყვეტილებასო. ამის პასუხად ფრეისინეს ფორმალური წერილი გაუგზავნია მინისტრ-პრეზიდენტისათვის, რომელშიაც ამბობს, რომ კარგად მოსაზრების შემდეგ დავრწმუნდი, რომ სამსახურში ჩემი დარჩენა შეუძლებელიაო.

გაზეთ „Liberté“-ს თანამშრომლისათვის უთქვამს ფრეისინეს, რომ ჩემი სურვილის წინააღმდეგ ჩავიბარე გაჭირვების დროს სამხედრო სამინისტრო და ამით ჩემი მოქალაქობრიული მოვალეობა შევასრულეო. თამამად შემიძლიან ვსთქვა, რომ სინიდისიერად ვმუშაობდი, რათა ყველა პატივისცემით მოეპყრობოდა ჯარს და აგრეთვე საუკეთესო ცვლილებანი შემომეღო ჯარშიო. ჩემი წარსული ცხოვრება თავდები უნდა ყოფილიყო იმისი, რომ პალატის ერთი ნაწილი, რომელმაც მტრულის თვალით დამიწყო ყურება, უფრო სამართლიანად მომეპყრობოდაო. დასასრულ ფრეისინეს უთქვამს, რომ დიდად მწყინს დიუპუის კაბინეტიდგან გასვლა, მაგრამ სხვა გზა არა მქონდაო.

ზოგიერთ გაზეთების სიტყვით, ფრეისინეს შემდეგ სამხედრო მინისტრის პორტფელი დიუპუისათვის შეუძლევია რესპუბლიკის პრეზიდენტს, მაგრამ მას სრული უარი განუცხადებია. მე არ შემიძლიან ეს თანამდებობა ვიკისრო,—უთქვამს დიუპუის,—რადგან სამხედრო მინისტრად რომ ვიქნე, შეიძლება იმ კაცის პასუხის გებაში მიცემა მომიხდეს, რომელიც 1894 წელს ჩემი თანამშრომელი იყოვო (გენერალი მერსიე). გარდა ამისა მინისტრ-პრეზიდენტი შუა კაცი უნდა იყოს იუსტიციისა და მხედრობის შორისო. ფრეისინეს სამსახურიდგან გადადგომა პოლიტეხნიკურ სასწავლებელში მომხდარმა უსიამოვნებამ გამოიწვია; ამიტომ უმჯობესი იქნება, ფრეისინეს მოადგილედ კრანცი დაინიშნოს, რომელმაც ხსენებულ სასწავლებელში დაამთავრა კურსიო. ეს წინადადება მოსწონებია ლუბეს და კრანციც დათანხმებულა სამხედრო მინისტრობაზედ.

—

**სპარსეთი.** ამ დღეებში რიჩარდ ტემპლმა სიტყვა წარმოსთქვა ლონდონში იმის შესახებ, თუ სპარსეთს რა სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს ბრიტანიის ინტერესებისათვის. ტემპლი დიდი ხანი მსახურებდა ინდოეთში და ძლიერ კარგად აქვს შესწავლილი ინდოეთისა და საზოგადოდ აზიის საქმეები. კრებას, რომელზედაც სიტყვა წარმოსთქვა და რომელსაც მრავალი გენერლობა დაესწრო, თავმჯდომარეობდა ლეპელ გრიფილი; ეს უკანასკნელიც დიდ ხანს მსახურებდა ინდოეთში და კარგად იცნობს ამ ქვეყანას.

ტემპლმა პირველად აღტაცებით მოიხსენია რუსეთისა და ინგლისის ერთმანეთ შორის მორიგება ჩინეთის რკინის გზის შესახებ და შემდეგ მტკიცება დაუწყო, რომ აგრეთვე საჭირო არის ამ რიგადვე მოურიგდნენ ერთმანეთს ეს ორი სახელმწიფო სპარსეთის შესახებაცაო.

დღემდისინო,—სთქვა მან—საშუალო აზიაში რუსეთი ისეთს პოლიტიკას ადგა, რომელიც არც თვითონ მისთვის იყო სასარგებლო და ამასთანავე ინგლისსაც ვნებას აძლევდაო.

რიჩარდ ტემპლის აზრით, ჩრდილო სპარსეთში რუსეთს უნდა დაუთმოს ბატონობა, ხოლო სამაგიეროდ სამხრეთ სპარსეთი ინგლისის გავლენის ქვეშ უნდა იმყოფებოდეს, და სპარსეთის ზღვის ყურეზედაც ინგლისი უნდა იყოს მბრძანებელი. აქ კარგად უნდა გამაგრდეს ინგლისიო, სთქვა ტემპლმა, რადგან რუსეთმა თუ ფეხი მოიკიდა სპარსეთის ზღვის ყურეზედ, ინდოეთს განსაცდელი მოელისო.

ამის შესახებ გაზ. „Morning Post“-ი ამბობს, რომ სპარსეთს არც რუსეთის გაბატონება სურს თავის ქვეყანაში და არც ინგლისისო, და ამ აზრით მოლაპარაკებს აქვს მას გამართული პარიჟსა და ბერლინშიო. ამიტომ გაზეთი თავისს მხრივ ურჩევს ინგლისის მთავრობას, რუსეთს თავი გაანებოს და საფრანგეთისა და გერმანიის მთავრობასთან გამართოს მოლაპარაკება სპარსეთის შესახებო.

## სასამართლოს მატიანე

გიგო ფილიშვილის მოკვლის საქმე.

1896 წლის 24 ივლისს გორის მაზრის სოფ. წითელ-საყდრის ახლო სათიბზედ მოკლულ იქმნა ამავე სოფლის გლეხი გიგო ფილიშვილი. როგორც თვალით მნახველ მოწმებმა ნიკო ასლანიშვილმა და იმისმა შვილმა აჩვენეს, ეს მკვლელობა ასე მომხდარა: გიგო ფილიშვილი თივასა სთიბავდა თურმე და იმის მოშორებით სთიბავდნენ ნიკო ასლანიშვილი და იმისი შვილი. სწორედ შუადღისას იქვე მახლობელ ტყიდგან მოისმა თოფის ხმა ორჯელ და გიგო ფილიშვილი ძირს დაეცა. ნიკომ და იმისმა შვილმა პირველში ვერ შენიშნეს, ვინ გაისროლა ორჯელ თოფი, მაგრამ მაშინვე ტყიდგან გამოვიდა გიგო ფილიშვილის გერი ივანე შავლოხაშვილი და დაცემულს გიგო ფილიშვილს კიდევ ორჯელ დაახალა ზემოდგან თოფი. ფილიშვილი იქავე გარდაიცვალა. იქვე ახლო ყოფილიყვნენ იმ დროს ჯიბო გიკაშვილი და მაკია ფილიშვილი, რომელნიც მოცვივდნენ და აი, ამათ ნიკო ასლანიშვილმა უამბო, რომ ეს-ეს არის ივანე შავლოხაშვილმა მოჰკლა გიგო ფილიშვილიო. როგორც გამოძიებიდგან აღმოჩნდა, გიგო ფილიშვილსა და ივანე შავლოხაშვილის შუა ამ ბოლოს დროს მტრობა ყოფილა. ამ მტრობამდე შავლოხაშვილი თავისს დედასა და მამინაცვალთან სცხოვრობდა თურმე, მაგრამ ამ ბოლოს დროს გიგო ფილიშვილი გაეყარა თურმე თავისს გერს, ისე-კი, რომ შავლოხაშვილი უმადური იყო. ამას გარდა, გიგო ფილიშვილი თავისის მდგომარეობით სარგებლობდა და რაკი ზღუდერის საზოგადოების მამასახლისი იყო, ავიწროებდა ივანე შავლოხაშვილს, სცდილობდა გარდაესახლებინა იგი სოფ. წითელ-საყდრიდგან.

ივანე შავლოხაშვილმა სასამართლოში არ აღიარა თავი დამნაშავედ და განაცხადა, რომ ფილიშვილი მაწვალებდა, მავიწროებდა და 24 ივლისს 1896 წლისას კი ცელით უნდოდა ჩემი ცემა და ამის გამო მოვკალი რევოლვერითაო.

ეს საქმე მოისმინა ტფილისის ოლქის სასამართლოს განყოფილებამ 30 აპრილს ქ. გორში და, იცნო რა ფილიშვილი დამნაშავედ, გარდაუწყვიტა ყოველისავე უფლების ჩამორთმევა და კატორგაში გაგზავნა რვა წლის ვადით.

## დამაკვირდი

გლახა, მდიდარი, ხელმწიფე
სიკვდილთან ყველა სწორია.

როსტომიანი

* * *

რასავით დაწნულს, გრძელ-ხშირბუჟლა თმას რა შეედრება ქვეყანაზედ!.. მოდი, ქალაია, მოდი ერთი ყელში წამიჭირე ეგ შენი გულ-წარმტაცად აბურძგნული, შოლტივით ნაწნავები და დამახრჩე ცოდვილივით, თუ არ გებრალები.

ნადიამბეგარმა ჯერ ცხელ-ცხელ მწვად-ერბო-კვერცხს გაუსვა ხელი, ზედ რამდენიმე ჭიქა შავი ღვინო გადაჰკრა და კიდევ დაიწყო:

— არ გესმის, ხვარამზე? რად მიწყრები, რა შეგცოდე ასეთი, რომ ჩემს პურ-მარილს ჭირივით ერიდები? მობრძანდი, ძუძუ-ქალავ, ლამაზ თვალავ, ყელ-ყარყარავ! მობრძანდი შენი ჭირიმე, შენ გენაცვალე, შენ გეთაყვანე! მერე რა ვახშამია-და: ყოველის სიკეთით დუღს და გადმოდის... აი, დღე და ღამ სულ ამისთანა ღვთის მოწყალებით სავსე სუფრაზედ იჯდები, შე სულელო, შენა! ახლა შენ რომ ჩემ თარ-ჭიანურზედ დაკვრა და ზედ დამღერა გაიგონო, მაშინ ხომ მთლად გაჰგიჟდები ჩემი სიყვარულით!.. აი ყური დამიგდე, ამ საათში ჩანგს ავაჟღერებ, ზედ დავამღერებ შენს დასარწმუნებლად ორიოდე სიტყვას:

„მითხარ, მითხარ, რას მემდური, შენი გულისა,
სამოთხევ და ჯოჯოხეთო, ჩემო, სულისა!
არაფრად ღირს ეს ქვეყანა უსიხარულოდ,
არ ღირს ჩალად თვით სიცოცხლეც უსიყვარულოდ“!..

— ჰა, როგორ მოგეწონა, ქალამზე, ჩემი სიმღერა, მართლა ტკბილი-საამო ხმა მქონია, არა? ახლა ჩემი თამაშობა, ჩემი თამადობა; ჩემი ქორმეძებრებით ნადირობა, ჩემი ლურჯა ცხენის ჭენება მწვანე ხავერდის ტრიალს მინდორზე და გაჭენებულ ცხენიდამ მიწაზედ ხელის ჩაწვდენით ქვის აღება ნახე-და! ქალის სიყვარული ხომ მთელის ქვეყნის ერთად შეერთებული სიყვარულიც ვერ მაჯობებს ვერასოდეს ვერაფრით!. მაშ სხვა რაღა გინდა, ჩემო ლამაზო იავ და ვარდო, რათ მიფრთხები შველივით და ახლო არ მეკარები? მაგრამ უკაცრაოდ, რას მივქარავ, ჯერ ხომ ხამათა ხარ სახლში და აკი ხამმა კატამაც ე მაგრე შენსავით იცის: ხან დახურულ კარებს, ხან ფანჯრებს ეძგერება ხოლმე გასაქცევად, მაგრამ მალე თითონვე ჰგრძნობს, სისულელე მომდისო და ჰკვიანდება, ეჩვევა, შინაურდება. ნათქვამია: ადამიანი ჯოჯოხეთსაც შეეჩვევაო, და ნუ თუ შენ სამოთხეს ვერ შეეჩვევი ჩემთან, ჩემო თვალის სინათლევ, ჩემო თაფლო და შაქარო, ჩემო ბროლ-ლალო და ვარდ-გიშერო!

ნადიამბეგარი კიდევ ბევრი ელაპარაკა, ეოხუნჯა და ეპატიჟა ხვარამზეს ტკბილ-მოუბარის ენით, მაგრამ ხვარამზემ ფეხიც არ მოიცვალა ადგილიდამ, თუმცა ნადიამბეგარის ყოველს ნათქვამს სიტყვებს საკენკივით ჰკრეფავდა, რადგანაც უნდოდა მის ლაპარაკში თავის განთავისუფლების რამ სანუგეშო სიტყვა ეპოვნა, მაგრამ ამაოდ. ღვინით შეზარხოშებული ნადიამბეგარი მალ-მალე წამოხტებოდა ხოლმე სუფრიდამ და წაეტოტინებოდა თუ არა ხვარამზეს საკოცნელად, გულ-გაფთრებული ხვარამზე სახეს აკაწრიდა და თან ტირილ-წივილით კიოდა საბრალოდ:

— დამეხსენ! დამეხსენ!.. რა გინდა ჩემგან! რა გინდა ჩემგააან!.. ვაიმეე!..

— მერე გაიგებ, ქალაიავ, რაც მინდა შენგან,—უსირცხვილო, შეუბრალებელის ღიმილით უპასუხებდა ნადიამბეგარი და ისევ ვახშამს შეექცეოდა. ბოლოს, როდესაც ნადიამბეგარმა სუფრას ბაყბაყ-დევივით მუსრი გაავლო, მთლად გამოწრუპა ერთი ხელადა შავი ღვინოც და ყაყაჩოსავით წამოუწითლდა წმინდად მოპარსული ლოყები, მაშინ-კი გაალო კარი და დაიწყო დიამბეგური ყვირილი:

— ბიჭო! ბართლომე! ეი, ვირის კართოფილო! არ გეყურება, მოდი სუფრა აალაგე და ქვეშაგები გაშალე ამ საათში, ნუ, ჟივო! ჩქარა! თორემ კნეინა ჯავრობს: ეძინება დაღალულია.

რაღაც ტკბილის ფიქრებით აღფრთოვანებული ნადიამბეგარი შუაოთახში გაჩერდა, სახელ-განთქმულ სოლისტივით ყელ-მოღერებული თავი ოდნავ მაღლა აიწია და მძლავრი ჭექა-ქუხილივით ფანჯრების ამაზრზენის ხმით იმღერა შემდეგი:

„მე მონად შევქმნილვარ ერთისა მზისა,
იგი ჩემთვის კვდება და მე მისთვისა,
მაგრამ დახედეთ ჩვენს სულის ტანჯვას:
არ იქნა, არ შეგვხვდა ჟამი შეყრისა“!..

ამას კი ვეღარ წარმოვიდგენდი, თუ გიმნაზიის მეორე კლასიდამ გამოვარდნილი, ძველი ტიპის დარდიმანდი თავადი რეზიკო „დემონიდამაც“ ისე საოპერო არტისტივით დაიმღერებდა მგრგვინავ ხმაზედ შემდეგს:

„Твоей любви я жду, какъ дара,
И вѣчность дамъ тебѣ за мигъ;
Въ любви, какъ въ злобѣ, вѣрь, Тамара,
Я не измѣненъ и великъ“!..

— დაგლახვრა დედიჩემის სალოცავმა, რა საზარლად ღრიალებს ჩვენებიანთ ულაყ ვირივით! ტუჩებში ჩაილაპარაკა თავისთვის ხვარამზემ და სახეზედ საშინელი ზიზღისა და ბრაზის ალმური აედინა საკბენად აღრინებულ ძაღლივით ამრეზილს.

ამასობაში ბართლომე მზარეულმა სუფრა აალაგა, ტახტზედ ქვეშაგები გაშალა ფართოდ, მერე ბატონს წაღები გაჰხადა, ფაჩუჩები მიართვა და გავიდა.

ნადიამბეგარმა რეზიკომ ოთახის კარები დაკეტა, გასაღები სადღაც მიმალა, ლამფა გააქრო, ანთებული სანთელი ტახტიდამ მოშორებულს შკაფის თავზე დადგა და ხვარამზეს შორიახლოდამ ყურება დაუწყო. რაღაც საზარლის მომლოდინე ხვარამზე აღარც სლუკ-სლუკებდა, აღარც თავ-ჩაქინდრული ჩაიყურებოდა ძირს, შიშით ძალზე გულ-აკანკალებული საცოდავად ცახცახებდა, ფერი მიხდიოდ-მოხდიოდა, გულში ცოფმორეული ბრაზი უდუღდა არეულ-დარეულის ფიქრებით თავრეტ-დასხმულს და თითქოს საკბენად კბილებს ილესავსო, ისე ჭკვა-დაბნეული შეშმიშივით ებრიცებოდა და ებღვირებოდა ნადიამბეგარს, რომელმაც ეს იყო კიდეც ხვარამზე თავის მკლავებში შეიპყრო.

დ. მაჩხანელი

(შემდეგი იქნება)

ხელნი არა შესცვნეს ცემათა და ბრძოლათაგან და აწ მრწიან.

სულხან საბა

* * *

ვინცა ახარებს მშობელსა თვისსა, იგი თვითცა იხარებს შვილთა მიერ მისთა.

ლასურიძე

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

დრეიფუსის საქმემ მარტო ევროპიელთა და ამერიკელთა ყურადღება არ მიიქცია. ამ საქმეს დიდის გაფაციცებით ადევნებენ თურმე თვალ-ყურს აღმოსავლეთის მაჰმადიანნიც. განსაკუთრებით გაცხარებულ მითქმა-მოთქმასა და ლაპარაკს ეს დაუსრულებელი საქმე იწვევს ოსმალთა და არაბთა შორის. ამასთან პირველნი დრეიფუსის მომხრენი არიან თურმე, ხოლო მეორენი—მოწინააღმდეგენი. როგორც ოსმალთ, აგრეთვე არაბთ ყორანისთვის მიუმართავთ და იქ ამოუკითხნიათ დრეიფუსს გაამართლებენ თუ არა. ოსმალნი ამბობენ, რომ დრეიფუსს უეჭველად გაამართლებენო და მას შემდეგ საბუთზედ ამყარებენ. დასჯილის კაპიტანის სახელი „Dreyfus“ უკუღმა რომ წავიკითხოთ გამოვა „Sufyerd“. ეს სიტყვა ოსმალურად ჰნიშნას: „უკანვე დაბრუნებულ იქმნასო“; აქედგან აშკარაა, რომ დრეიფუსს გაამართლებენ და უკანვე, სამშობლოში დააბრუნებენო. სულ სხვას ამტკიცებენ არაბნი: იგივე სიტყვა უკუღმა წაკითხული არაბულად ჰნიშნავს: „უარი გამოეცხადოსო“, რაიცა მომასწავებელია იმისა, რომ საკასსაციო სასამართლო უარს განაცხადებს დრეიფუსის საქმის ხელ-ახლა განხილვისასაო. ერთი სიტყვით დრეიფუსის საქმე ისევე არ აძლევს მოსვენებას ოსმალთა და არაბთ, როგორც ფრანგებსა და საზოგადოდ ევროპიელთ.

* * *

თუ რამდენად ენა-მახვილი კაცი ყოფილა რომის აწინდელი პაპი ლევ XIII, შემდეგის მაგალითიდგანა სჩანს. ამ ათის წლის წინად პაპი საშიშოდ გამხდარა თურმე ავად. ამ დროს პაპისთან გამოსათხოვებლად მისულა სანტ-იაგო დე-ჩილის მთავარ-ეპისკოპოსი კაზანოვა, რომელიც დროებით რომში ჩამოსულა და უკანვე სანტ-იაგოში აპირებდა წასვლას.

— როგორღაც აღელვებული ხართ უკითხნია პაპის კაზანოვასათვის—რამ აგაღელვათ აგრე?

— თქვენმა ავადმყოფობამ, წმინდაო მამაო!.. მიუგია კაზანოვას.—ღმერთმა-კი ნუ ქნას, მაგრამ დღეს ისე უქეიფოდა ბრძანდებით, რომ არ ვიცი, კიდევ მექნება ბედნიერება თქვენის ხილვისა, თუ არა.

— ვითომ რატომაო?—უთქვამს პაპის—თქვენ ჯერ სულ ახალგაზდა ხართ და უთუოდ რომშიაც არა ერთხელ მოგიხდებათ კიდევ მოსვლა. ნუ გეშინიანთ, ღმერთი თქვენისთანა ახალგაზრდას ეგრე ადვილად არ გაიმეტებს.

* * *

ამ რამდენისამე წლის წინად ნანკინში სცხოვრობდა თავისის ცოლით ერთი ჩინელი. ცოლ-ქმარს ძალიან უყვარდათ ერთმანეთი და ტკბილ განწყობილებაში იყვნენ. როდესაც ჩინეთ-იაპონიის ომი დაიწყო, ქმარი ჯარის-კაცად იქმნა გაწვეული, რის გამო იძულებული გახდა ცოლი დაეტოვებინა და ომში წასულიყო. რამდენიმე თვე ცოლს ქმრისაგან არაფერი ამბავი არ მოსვლია. ცოლს გადაუწყვეტია, რომ ომში მოუკლავთო და სხვა კაცს გაჰყოლია. მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ქმარი უკან დაბრუნებულა და რა გაუგია, რომ იმისი ცოლი გათხოვილა, მიუმართავს ახალ ქმრისათვის და გამოუცხადებია, ქალი კანონით მე მეკუთვნის და უკანვე უნდა დამიბრუნოო. „არასოდეს, მიუგია იმას, მეც კანონიერადა ვარ იმასთან შეუღლებულიო“. ბოლოს საქმე მოსამართლემდე მისულა. მოსამართლეს ბრძანება გაუცია, რომ ცოლი განაშორეთ ორსავე ქმარს და ცალკე, შორს სადმე აცხოვრეთო. რამდენისამე ხნის შემდეგ მოსამართლეს მეტოქეთათვის გამოუცხადებია, თქვენი ცოლი გარდაიცვალა და ეხლა ერთ-ერთმა უნდა იკისროთ იმის დასაფლავებაო. პირველ ქმარს უთქვამს: ბოლოს ის ქალი ამას ეკუთვნოდა და ეხლაც ამანვე უნდა მოუაროსო. მეორე-კი თანახმა გამხდარა, მე დავასაფლავებო. მოსამართლეს იქვე ოთახიდგან გამოუყვანია ცოლი და მეორე ქმრისათვის გადაუცია, თან დაუძენია: ქალი ცოცხალია და კანონით შენ გეკუთვნისო.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

1 აპრილი

**მოსკოვი.** გენერალ-გუბერნატორის თანა დასწრებით აკურთხეს სიბერისაგან დაუძლურებულ არტისტთა თავ-შესაფარი.

**პიატიგორსკი.** სამკურნალო სეზონი დაიწყო.

**ყაზანი.** უნივერსიტეტში ეგზამენები დაიწყო. ეგზამენებზე დასწრების სურვილი განაცხადა—იურიდიულ ფაკულტეტის 47 სტუდენტმა, ფიზიკო-მატემატიკის—25 სტუდ. (ამათში 21 ბუნების მეტყველია), და საისტორიო საფილოლოგიო ფაკულტეტის—7 სტუდენტმა.

**პარიჟი.** გაზ. „ფიგარო“, განაგრძობს რა დრეიფუსის შესახებ წერას, სხვათა შორის, ამბობს: მოსამართლეთა უმრავლესობა იმ აზრისაა, რომ რადგანაც ანრიმ ვერ მოსპო ბორდერო, ყალბი თარიღი დაასვაო, ხოლო როდესაც დრეიფუსი გაამტყუვნეს და ესტერგაზი გაამართლეს, მაშინ კი ნამდვილის თარიღით აღნიშნესო. აგვისტოს ანუ სექტემბრის თვით.

2 მაისი.

**პეტერბურგი.** შინაგან საქმეთა მინისტრმა დაადგინა: „Сибирская торговая газета“-ს გამოცემა ექვსი თვით იქმნეს შეჩერებულიო.

**ვალიადოლიდი.** ერთ სტუდენტსა და კავალერიის იუნკრის შორის მომხდარ ჩხუბის გამო არეულობა მოხდა. სტუდენტები და სამხედრო წოდებისანი ერთმანეთს დაერივნენ. ხალხმა სტუდენტებს დაუჭირა მხარი. რამდენიმე კაცი დაიჭრა. ეფიქრებათ, დიდი უწესოება არ მოხდესო.

**პარიჟი.** ბირჟის მოედანზე, სავაჭრო პალატას ცეცხლი წაეკიდა. ცეცხლი პირველათ საჰკითხველოში გაჩნდა და მერე იქიდგან მოედო მთელ შენობას. ღამის ორ საათზე ძლივს ჩააქრეს. ადამიანთაგანი არავინ დაღუპულა.

**ვალიადოლიდი.** სტუდენტებსა და კადეტებს კვლავ ჩხუბი მოუვიდათ. დაჭრილ იქმნა 4 კადეტი და 3 სტუდენტი. ჟანდარმებმა წესიერება აღადგინეს.

**ვენა.** გააგაში რადგანაც მალე სამშვიდობო კონფერენცია მოხდება, ავსტრიის „მშვიდობის-მოყვარეთა საზოგადოებამ“ საგანგებო კრება გაჰმართა. კრებას მრავალი ხალხი დაესწრო და გადასწყვიტეს, მხურვალე თანაგრძნობა გამოუცხადიან კონფერენციის დანიშნულებას, რომელიც რუსეთის იმპერატორის მეოხებით იქმნა მოწვეული. ჩვენ იმედი გვაქვსო, სთქვეს „მშვიდობის-მოყვარეთა“, რომ ავსტრიის წარმომადგენელი, ყოველ ღონეს იხმარებს, რომ დიადი აზრი კონფერენციისა განხორციელდესო.

**პეტერბურგი.** სათავად აზნაურო სესხის ტირაჟი: 200,000 მან.—14184/35; 75,000—4313/3; 40.000—2792/6; 25,000—9992/28, 10,000—10936/48; 14,330/40, 2946/8; 8,000—11922/40, 1258/23 15948/36, 11,503/25, 12080/30; 5,000—1978/20, 2081/2, 5981/8, 8749/8, 5409/32, 167/36, 1815/11, 4862/44; 1,000—3634/32, 2738/36, 12812/25, 4638/47, 10350/35, 3444/13, 15321/14, 1746/3, 11682/22, 11103/34, 8110/27, 5437/33, 5773/10, 12526/33, 10973/33, 8660/16, 6522/3, 5283/7, 15026/30, 719/11.

3 მაისი

**პეტერბურგი.** 2 მაისს ხელმწიფე იმპერატორი საიმპერატორო გვარეულობის წევრებთან ერთად ბრძანდებოდა შინა-ფრინველთა საერთაშორისო გამოფენაზედ, რომელიც დაწვრილებით დაათვალიერა.

**რომი.** შესდგა ახალი სამინისტრო. მინისტრებად არიან: პელუ—მინისტრ-პრეზიდენტი და შინაგან საქმეთა მინისტრი, ვენოსტა—გარეშე საქმეთა, ბონაზი—იუსტიციისა, კარმინე—ფინანსთა, ბოზელლი—ხაზინისა, გენერალი მირრი—სამხედრო, ადმირალი ბეტილლო—საზღვაო, ბაჩელლი — საერო განათლებისა, ლაკოვა—საზოგადო სამუშაოთა, სალანდრა—მიწად-მოქმედებისა, სანჯულიანო—ფოსტათა და ტელეგრაფთა. მინისტრები ხვალ მიიღებენ ფიცს.

**მადრიდი.** „Jmparcid“-ი ამბობს, რომ მინისტრებს შორის დიდი უთანხმოებააო. სილველა წინააღმდეგია პროექტის საერო განათლების რეფორმების შესახებ.

**ვალიადოლიდი.** სტუდენტები და სამხედრო სასწავლებლის იუნკრები შერიგდნენ.

პეტერბურგის ბირჟა, 30 აპრილი

| | მყიდველისა. | გამყიდველისა | გაყიდულისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| 5⁰/₀-ნი მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | — „ | — „ | 215¾ |
| 3½⁰/₀ გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . . | 95 | — „ | — „ |
| 6⁰/₀ ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა . | 101 | — „ | |
| 5⁰/₀ იმავე ბანკისა. | 99¾ | — „ | — „ |
| 5⁰/₀ ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | — „ | 100¾ | — „ |
| 4½⁰/₀ იმავე ბანკისა | — „ | 100 | — „ |
| 5⁰/₀ ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა . . . | 99¾ | — „ | — „ |
| 4½⁰/₀ იმავე საზოგადოებისა. . . | — „ | 98 | — „ |
| 5⁰/₀ პირველი შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | — „ | — „ | 287⅛ |
| 5⁰/₀ მეორე შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი | — „ | — „ | 254¼ |

## შემოწირულობა

ჩვენ მივიღეთ ივანე და ეჟენე მახარაძეებისაგან 6 მან. და თავ. ნიკოლოზ სოლომონის ძის ლეონიძისაგან 3 მან. სვეტი-ცხოვლის განსაახლებლად შესაკრებელ თანხის სასარგებლოდ და იმავე მახარაძეთაგან 4 მან. და თავ. ნ. ს. ლეონიძისაგან 2 მან. საქართველოს საერო მუზეუმისათვის ახალ შენობის ფონდის სასარგებლოდ. ეს ფული დანიშნულებისამებრ გაეგზავნებათ.

## წერილები რედაქციის მიმართ.

მადლობას ვუცხადებ ქალბატონ ელენე გაბუნიას, რომელმაც ჩემს სასარგებლოდ შეაგროვა და გამომიგზავნა ორმოც-და-ათი მან. აგრეთვე მადლობას ვუძღვნი იმათ, რომელთაც ხელი შეუწყვეს იმას ფულის შეგროვების საქმეში.

სტუდენტი გრიგოლ ზიახუბაია

სტეფანწმიდის სკოლის მოწაფეებისათვის ჟურნალ „ჯეჯილის“ და ამავე სოფლის წიგნთსაცავისათვის გაზ. „კვალის“ დასაკვეთად შემოსწირეს:

ბლაღ. მღვ. ალექსანდრე დოლიძემ 1 მ., დეკანოზმა მამა გიორგი იტონიევმა 1 მ., მღვ. ზაქარია კობაიძემ 1 მ., მღვ. გიორგი სირაძემ 1 მ., მღ. ზაქარია პეტრიაშვილმა 1 მ., ყაზბეგის სადგ. უფროსმა ალექსანდრე ტულაშვილმა 1 მ., მიხეილ ზურაბის ძე გიორგობიანმა 1 მ., ლაზარე ანდრიას ძე თოფაძემ 1 მ., ვანო დავითის ძე კარაევმა, 1 მ., ვანო რევაზის ძე მაჭავარიანმა 50 კ., თეოფილე ქიტესას ძე არჩუაძემ 50 კ., იაგორ გიორგის ძე ღუდუშაურმა 50 კ., თამაზ ბერის ძე სხირტლაძემ 30 კ., სტეფანწმ. ეკკლ. მედავითნემ ბართლომე ღუდუშაურმა 50 კ., ყანობ. ეკკლ. მედავითნემ არჩილ ფოფხაძემ 50 კ., ილიკო ომანის ძე გიორგობიანმა 20 კ.

სტეფან-წმინდის სკოლის მასწავლებელი ალექსანდრე კვაჭაძე



## განცხადებანი

# ტფილისის ქალაქის გამგეობა

საყოველთაოდ აცხადებს, რომ ტფილისში, კავკასიის მთავარ მართებლის მიერ დამტკიცებულ ცხენის იარმუკათა დებულების თანახმად, ამა წლის 5 **მაისიდგან** გამართული იქნება

## ცხენის იარმურკა,

რომელიც 18 **მაისამდე** გასტანს. ადგილი ამ იარმურკას დაეთმო დიდუბეში, იქ, სადაც მარულა იმართება ხოლმე. (3—6—1)

ქ. ქ უ თ ა ი ს შ ი

ახლად გაიხსნა

## ღვინის საწყობი

ი. გოკიელოვის შვილებისა

ფ ა ს ე ბ ი:

| | | | ბოთლი | ფუთი |
|---|---|---|---|---|
| | | | უჭურჭლოთ | მ. კ. |
| № 10 | ღვინო | სვირისა | 15 კ. | 2 30 |
| 9 | „ | „ | 18 „ | 2 80 |
| 8 | „ | „ | 20 „ | 3 — |
| 8 | „ | კახური | 20 „ | 3 20 |
| 7 | „ | „ | 25 „ | 4 — |
| 6 | „ | „ | 30 „ | 4 80 |
| 5 | „ | „ | 40 „ | 6 — |
| 4 | „ | „ | 50 „ | 7 — |
| 3 | „ | „ | 60 „ | 9 — |
| 2 | „ | „ | 80 „ | 12 — |
| 1 | „ | „ | 1 მან. | 15 — |
| ყიფიანებისა | „ | „ | 30 კ. | 5 40 |

(1—52—3)

### ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისაგან

ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის მმართველობა, ბანკის წესდების მე-14 §-ის თანახმად, შეცვლილისა და დამატებულის „მთავრობის კანონდებულებათა და განკარგულებათა“ 1898 წლის მე 82 და 114 №№-ში განცხადებულისამებრ, ამით აცხადებს, რომ 8, 10, 12 და 15 ივნისს ამა 1899 წლისას, დილით, ქ. ტფილისში, ბანკის სადგომში, ფრეილინის ქუჩაზედ, ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა სახლში, საჯარო ვაჭრობით გაისყიდება ვაჭრობის განუმეორებლად, უძრავი ქონებანი ქვემოხსენებულთა, ბანკის წესდებით დადგენილ გარდასახდელების შემოუტანლობისათვის, 12, 13, 14, 15, 17 და 18 §§-მებრ.

ვაჭრობა, ბანკის წესდების მე-17 §-ის თანახმად, ქვემოხსენებულ ვალის ჯამიდგან დაიწყება და მასვე მიემატება სავადო და სხვა გარდასახდელი ხარჯი. თავნი ვალი გრძელვადიანის სესხისა შეიძლება შემოიტანონ ამა ბანკის გირავნობის ფურცლებით, რომელიც მიღებულ იქმნება თავისის დარქმეულ ფასისამებრ მანეთი მანეთად და აგრეთვე შეიძლება ბანკის თანხმობით ვალი მყიდველზედ იქმნას გადატანილი; სავადო შემოსატანისა და სხვა გარდასახადისათვის-კი ნაღდი ფული უნდა იქმნას შემოტანილი.

ვინიცობაა ამ წლის 8, 10, 12 და 15 ივნისს დანიშნული ვაჭრობა არ შესდგა, ბანკის წესდების მე-20 §-ს საფუძველისამებრ, მეორე და უკანასკნელი ვაჭრობა იქმნება 30 ივნისს 1899 წლისა. ბანკის წესდების მე-15 § ის თანახმად, მსესხებელს ნება ეძლევა შემოსატანი, სარგებლით ვადაზე შემოუტანლობისათვის, და აგრეთვე ყოველივე ხარჯი მამულის სავაჭროდ დანიშვნისათვის, ვაჭრობის დღემდე შემოიტანოს მხოლოდ გრძელ ვადიან სესხებზედ.

ვაჭრობა მოხდება: ა) ქალაქის მამულებისა: 1) **ტფილისისა** 8 ივნისს, 2) **ტფილისს გარეშე** ქალაქებისა 10 ივნისს, 3) **სოფლის მამულებისა:** ა) რომელზედაც გაცემულია გრძელვადიანი სესხი—12 ივნისს, ბ) სოფლის მამულების და აგრეთვე ქალაქისა, რომელზედაც გაცემულია **ხანმოკლე-ვადიანი** სესხი, 15 ივნისს ამა წლისა.

ხოლო მეორე და უკანასკნელი ვაჭრობა ყველა მამულებისა მოხდება 30 ივნისს 1899 წლისა.

შენიშვნა: საჯარო ვაჭრობა დაიწყობა სწორედ დილის 10 საათზედ, ამიტომ ვაჭრობისაგან შეიძლება განთავისუფლებულ იქმნენ მხოლოდ ის მამულები, რომლებზედაც დარჩენილი გარდასახადი შეტანილ იქმნა ვაჭრობის წინა დღეს (წესდების მე-15 §-ი).

**ტ ფ ი ლ ი ს ი ს ა:**

ჯასტანიძე აბრამ სიმონის ძე, ორსართულიანი სახლი, მიწა ზომით 191 ოთხ-კუთხი საჟ. ქ. ტფილისის მე-8 ნაწილში, არსენალის ქუჩაზედ. თავნი ვალი 1049 მ. 54 კ. შემოს. გარდ. 99 მ. 78 კ. სულ 1149 მ. 32 კ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალურიანი ვანო თედორეს-ძე. ერთ-სართულიანი სახლი, მიწა ზომით 230 ოთხ-კუთხი საჟ. ანუ რამდენიც აღმოჩნდება მე-9 ნაწილში ვარანცოვის წყლის პირის ქუჩაზე ქ. ტფილისში.
თავნი ვალი 6634 მ. 83 კ. შემოსატ. გარდ. 354 მ. 46 კ. სულ 6.986 მ. 29 კ.

გაბაშვილი იოსებ დავითის ძე: ორ-სართულიანი სახლი სარდაფით და ორი ორ-სართულიანი ფლიგელი, მიწა ზომით 100 ოთხ-კუთხი საჟ., ანუ რამდენიც აღმოჩნდება. ქ. ტფილისში, 1 ნაწ., ოლგას ქუჩაზედ.
თავნი ვალი 4158 მ. 28 კ. შემოსატ. გარდ. 303 მ. 09 კ. სულ 4461 მ. 37 კ.

ბაქრაძე ეკატერინე იაკობის ასული: მიწის ნაჭერი ზომით $92^{3}/_{7}$ ოთხ-კუთხი საჟ., ქ. ტფილისის მე 9 ნაწ. ელისაბედის ქუჩაზედ.
თავნი ვალი 354 მ. 58 კ. შემ. გარდ. 27 მ. 36 კ. სულ 381 მ. 94 კ.

ბაქრაძე ალექსანდრე ნიკოლოოზის ძე: მიწის ნაჭერი ზომით $207^{27}/_{28}$ ოთხ-კუთხი საჟ. ქ. ტფილისის მე 9 ნაწ., ელისაბედის ქუჩაზედ.
თავნი ვალი 921 მ. 89 კ. შემ. გარდ. 59 მ. 95 კ. სულ 981 მ. 84 კ.

ჰაჯი-აბდულ-ბაგი-ზაგრაბ ოღლი. იგივე ჰაჯი-აბდულ-ბაგი ზაგრაბ-ზადე და აბდულ-ბაგი ქერბალაიზახრაბოვი: სამ-სართულიანი სახლი, ერთ-სართულიანი სახლი სირდაფითა და ორი ორ სართულიანი სახლი, მიწა ზომით $184^{1}/_{2}$ ოთხ-კუთხი საჟ., ანუ რამდენიც აღმოჩნდება ქ. ტფილისს მე-6 ნაწილში, ძველ დამოენის ქუჩაზედ.
თავნი ვალი 3169 მ. 81 კ. შემოსატ. გარდ. 43 მ. 33 კ. სულ 3213 მ. 14 კ.

დიუბეკი ფრანცი ფრანცის ძე. ერთ-სართულიანი სახლი მეზონინითა და სარდაფით, მიწა ზომით 97 ოთხ-კუთხი საჟ. ქ. ტფილისის მე-10 ნაწ.
თავნი ვალი 905 მ. 65 კ. შემოსატ. გარდ. 56 მ. 66 კ. სულ 962 მ. 31 კ.

ხმირიძე დავით ივანეს ძე: 2 ორ-სართულიანი სახლი, მიწა ზომით 70 ოთხ კუთხი საჟ. ქ. ტფილისის მე-3 ნაწ., ორბელიანის ქუჩაზედ.
თავნი ვალი 1174 მ. 39 კ. შემოსატ. გარდ. 84 მ. 20 კ. სულ 1258 მ. 59 კ.

არღუთინსკი-დოლგორუკოვი ნიკოლოზ ანდრიასძე: 16 დუქანი, მიწა ზომით 263 ოთხ კუხ. საჟ. 1 ნაწილში ქ. ტფილისს, ოლგის ქუჩ. ზე.
თავნი ვალი 4697 მ. 66 კ. შემოსატ. გარდ. 256 მ. 20 კ. სულ 4953 მ. 64 კ.

არღუთინსკი-დოლგორუკოვისა ეკატერინე ალექსის ასული: ერთ-სართულიანი სახლი სარდაფით. მიწა ზომით 26 ოთხ-კუთხ. საჟ. მე-5 ნაწილში ქ. ტფილისს, ერევნის მოედანის კუთხეში.
თავნი ვალი 5626 მ. 48 კ. შემოსატ. გარდ. 289 მ. 16 კ. სულ 5915 მ. 64 კ.

კარაბეგოვი სვიმონ ივანეს ძე: ორი თითო სართულიანი სახლი, ერთი მათგანი სარდაფით, მიწა ზომით $125^{1}/_{2}$ საჟენი და 2 ოთხ-კუთხი არშინი. ქ. ტფილისში, მე 4 ნაწ., სოლოლაკში.
თავნი ვალი 1644 მ. 60 კ. შემოსატ. გარდ. 95 მ. 65 კ. სულ 1740 მ. 25 კ.

ასლამაზოვისა ბარბარე იოსების ასული: 3 ოთახი, მიწა ზომით $55^{42}/_{100}$ ოთხ-კუთხი საჟ ქ. ტფილისის მე-9 ნაწილში. სტრელკოვის ყაზარმების ახლოთთან.
თავნი ვალი 262 მ. 94 კ. შემოსატ. გარდ. 25 მ. 28 კ. სულ 288 მ. 22 კ.

ამაშუკელი ბარბარე ვახტანგის ასული: ორ-სართულიანი სახლი, ორ სართულიანი ფლიგელი სარდაფით და ორი ერთ სართულიანი ფლიგელი, მიწა ზომით $377^{1}/_{2}$ ოთხ-კუთ. საჟენი. ქ. ტფილისში, 9 ნაწილი, ალექსანდრესა და კიროჩნის ქუჩებზე.
თავნი ვალი 10964 მ. 01 კ. შემ. გარდ. 436 მ. 30 კ. სულ 11400 მ. 31 კ.

ბერიევი იოსებ მიხეილის ძე: ორ-სართულიანი სახლი და ორ სართულიანი ფლიგელი, მიწა ზომით 160 ოთხ-კუთ. საჟენი, ქ. ტფილისში, 9 ნაწილი ელისაბედის ქუჩაზე.
თავნი ვალი 2731 მ. 03 კ. შემ. გარდ. 114 მ. 31 კ. სულ 2845 მ. 34 კ.

ბარათაშვილნი ბარბარე, ვასილი (ვახტანგი) და ივანე გიორგის ასული და ძენი: ორ-სართულიანი სახლი სარდაფით, ასეთივე ფლიგელი და საჯინიბე, მიწა ზომით 200 ოთხ-კუთხი საჟ. ქ. ტფილისის მე-9 ნაწ., რეუტოვის ქუჩაზედ.
თავნი ვალი 15464 მ. 04 კ. შემ. გარდ. 654 მ. 12 კ. სულ 16118 მ. 16 კ.

დოლაქიშვილისა ეკატერინე ქრისტესიას ასული: ორი ერთ სართულიანი სახლი, მიწა ზომით 88 ოთხ-კუთხი საჟ, ანუ რამდენიც აღმოჩნდება ქ. ტფილისში მე-7 ნაწ., კომენდანტსკისა და წმ. ანტონის ქუჩაზე.
თავნი ვალი 364 მ. 13 კ. შემოს. გარ. 23 მ. 67 კ. სულ 387 მ. 80 კ.

ბარათაშვილები სოფიო გიორგის ასული და მიხეილ, იოსებ, დავით, ეფემია და მარიამ ნიკოლოზის ძენი და ასულნი: სამ-სართულიანი სახლი და სამ სართულიანი ფლიგელი სარდაფით, მიწა ზომით $57^{1}/_{2}$ ოთხ-კუთ. საჟენი. ქ. ტფილისში. 2 ნაწილი, მთაწმინდაში.
თავნი ვალი 3459 მ. 33 კ. შემოს. გარდ. 84 მ. 74 კ. სულ 3544 მ. 07 კ.

ყულუმბეგაშვილი ლევან ბეჟანის ძე ორ-სართულიანი სახლი და ორ-სართულიანივე მინაშენი, მიწა ზომით 55 ოთხ კუთხ. საჟ. ქ. ტფილისის 1 ნაწილი, ახალ გოლანდიაში.
თავნი ვალი 3821 მ. 61 კ. შემოს. გარდ. 150 მ. 10 კ. სულ 3971 მ. 71 კ.

ყაზაროვი დავით კარაპეტას ძე და მანასიანცები: სოფიო არუთინას ასული, ეკატერინე, აიკანდუხტ და ასტღიკ კარაპეტას ასულნი: სამ-სართულიანი სახლი სარდაფით, სამ-სართულიანი ფლიგელი, ერთ-სართულიანი შენობა და სარაიი, მიწა ზომით $604^{1}/_{2}$ ოთხ კუთ. საჟენი, ანუ რამდენიც აღმოჩნდება. ქ. ტფილისში, 8 ნაწილი, რიყისა, პანასევიჩისა და სურფ-კარაპეტის ქუჩებზე.
თავნი ვალი 27522 მ. 23 კ. შემოს. გარდ. 1199 მ. 88 კ. სულ 28722 მ. 11 კ.

არჯევანიძისა სიმონ ისაკის ძისა: ორ-სართულიანი სახლი და სარაიი, მიწა ზომით $42^{7}/_{10}$ ოთხ-კუთხი საჟ. ქ. ტფილის., 2 ნაწ., მეორე ნაგორნის ქუჩაზე.
თავნი ვალი 1100 მ. 90 კ. შემოს. გარდ. 49 მ. 96 კ. სულ 1150 მ. 86 კ.

ჯავახოვისა ნატალია იოილის ასული: ორ სართულიანი სახლი და 2 ორ-სართულიანი ფლიგელი, მიწა ზომით 100 ოთხ-კუთხი საჟ. ქ. ტფილისის 1 ნაწილში, მოსკოვის ბალკაში.
თავნი ვალი 5504 მ. 43 კ. შემოს. გარ. 221 მ. 68 კ. სულ 5726 მ. 11 კ.

ადამაშვილი გიორგი ადამის ძე: ერთ-სართულიანი სახლი და ასეთივე შენობა, მიწა ზომით 50 საჟ. $1^{3}/_{4}$ ოთხ-კუთხი არშ. ქ. ტფილისის 1 ნაწ., მწვანეთის ქუჩის ზემოდ.
თავნი ვალი 1100 მ. 90 კ. შემოს. გარ. 44 მ. 40 კ. სულ 1145 მ. 30 კ.

ჭაარაპეტოვი სერგო ავეტიქას ძე: ერთ-სართულიანი სახლი სარდაფით და 4 თითო-სართულიანი ფლიგელი, ერთი ამათგანი სარდაფით, მიწა ზომით 88 ოთხ-კუთხი საჟ. ქ. ტფილ. 5 ნაწ., ფეთხაინის ვიწრო ქუჩაზე.
თავნი ვალი 1376 მ. 11 კ. შემოსატ. გარდ. 76 მ. 31 კ. სულ 1452 მ. 42 კ.

კოხტაევი მნაკაკან არუთინას ძე: ერთ-სართულიანი სახლი სარდაფით და ორი ერთ-სართულიანი ფლიგელი, მიწა ზომით 100 ოთხ კუთხ. ქ. ტფილისის მე 5 ნაწილში ფეთხაინის ქუჩა.
თავნი ვალი 3394 მ. 42 კ. შემოსატ. გარდ. 139 მ. 38 კ. სულ 3533 მ. 80 კ.

ზუდდანოვები: ვასილ, გაბრიელ, ბუღდანა, სოფიო, ანნა და ნინო იაგორას ძენი და ასულნი და რუსუდან ტიმოთეს ასული და ზახრაბოვი ეკატერინე იაგორის ასული: ორ-სართულიანი სახლი სარდაფით, მიწა ზომით 115 ოთხ-კუთხ. საჟ. ტფილისის მე-3 ნაწილში ვანქის ქუჩაზე.
თავნი ვალი 6605 მ. 32 კ. შემოსატ. გარდ. 119 მ. 69 კ. სულ 6725 მ. 01 კ.

